

ახალი თაობა



ბათუმსა და ქობულეთში
ჭურისტაბის რაოდენობა
შემცირდა **გვ.6**



6 ივლისიდან

საქართველოს
მეფეთა ისტორია

ფასი
გაზეთთან
ერთად
8 ლარი




ორშაბათი, 10 ივლისი, 2017

№161 (7396)

ფასი: 50 თეთრი

პროკურორმა საკანში ირაკლი ფირსხალავას სცაბა?



ზვიად კუბრავა: „მას უთხრეს, რომ თუ ირაკლი მამალაძეზე ჩვენებას არ შეცვლის, ციხეში ამოაღობენ“

სუჯაბის სამონასტრო კომპლექსი სომხეთის ხელში გადადის?

გვ.2

რაზე შეუთანხმდა თბილისი ერევანს



ნანა ღვდარიანი: „კალაქის თავისივე გუნდში ებრძვიან“



„დაპირისპირებამ „ქართულ ოცნებაში“ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიოს“



რამაზ საყვარელიძე:
„ოპოზიციას
შეუძლია, ნახევარი
პარლამენტი ხელში
აიღოს“ **გვ.3**



პანტანო მაისაია:
„სააკაშვილი
პოროშენკოს რუსეთის
დაპლაზიტო ებრძვის“
„ნაცემოდრაობა პრორუსული
ძალაა, რომელიც კრემლის
დაკვეთას ასრულებს“ **გვ.5**

ISSN 1987-9385
9 771987 938006



გაუჩნდა თუ არა საქართველოს
ევროკავშირში განვვირინების
პერსპექტივა? **გვ.5**



სააკაშვილს უკრაინიდან
ექსტრადიციით
ემუქრებიან **გვ.7**




ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი სომხეთის ხელში გადადის?

საქართველოში საზღვრებთან დაკავშირებით ახალი სკანდალი გორდება. სომხურ მხარესთან მიღწეული შეთანხმების გამო საქართველოს ხელისუფლება სერიოზულ სკანდალში გაეხვევა.

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის საზღვრის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაასრულა. როგორც ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, 2017 წლის 1 სექტემბრისთვის ეს პროცესი ოფიციალურად დასრულდება.

ოფიციალურ ერევანთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი სომხეთის დაქვემდებარებაში გადავა. სამონასტრო კომპლექსის გარდა, სომხურ მხარეს გადაეცემა არპის ნაციონალური ტყე-პარკიც.



დაკავშირებით სომხეთთან ომიც კი გვექონდა. ამ ამბის ასე ბედის ანაბარა მიტოვება არ შეიძლება.

სუცივილი საზღვრებთან უდიერ დამოკიდებულებასა და კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებს პრემიერ კვირიკაშვილს. ექსპერტის თქმით, მას მეზობელი ქვეყნისთვის ტერიტორიების გადაცემის უფლება არ ჰქონდა.

– პრემიერს დიდ პატივს ვცემ, ძალიან ზომიერი კაცია, მაგრამ თურქეთის მონაკვეთზე 6 ჰა ფართობის გადაცემით კონსტიტუცია დაარღვია. კონსტიტუციის მეორე მუხლი პირდაპირ გვეუბნება, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა საზღვრების მონაკვეთება და ტერიტორიების გადაცემა, – აცხადებს ხუციშვილი.

მისი თქმით, ამ მიმართულებით თურქეთს პრეტენზიები აღარ ჰქონდა: – მდინარე ჭოროხზე სასაზღვრო პარლამენტს მუშაობის ანგარიში ჩააბაროს. პარლამენტში მოსმენილ უნდა იქნეს სადემილიტაციო კომისიის ანგარიში. გვითხრან, რა უძლოდა ამ ყველაფერს წინ. რა საფუძველი აქვს იმას, რომ ხუჯაბი და მასთან ერთად სარეკრეაციო ზოლი სომხეთის მხარეს დაუთმეს.

სამ უხაროდ, 2013 წლიდან დღემდე სადემილიტაციო კომისიის ანგარიში არავის მოუსმენია. არც არაფერი ვიცით მათი მუშაობის შესახებ – ინფორმაცია საჯარო არ არის. ამიტომაც მე ამ კომისიას უნდობლობას ვუცხადებ, – ამბობს ექსპერტი.

მან ჯერ არ იცის, რითი დასრულდება ეს ამბავი. იმედი აქვს, რომ პარლამენტი ამ დოკუმენტის რატიფიცირებას არ მოახდენს. ის საზოგადოებას მოუწოდებს, რომ ასეთი საკითხების მიმართ ყურადღება არ მოადუნოს.

სუცივილის თქმით, სომხეთს სხვა ტერიტორიებზეც აქვს პრეტენზია:

– ჩვენს მეზობელს სხვა მიმართულებებითაც აქვს თავისი პრეტენზიები. ჯერ კიდევ 1918 წლიდან ითხოვენ ახალქალაქსა და ბორჩალოს. ამასთან

არ არის საზღვარი. ეს სადემარკაციო ხაზია. ამ ხაზის გავლება ორ მხარეს მშვიდობის დამყარების შემდეგ იქნა გავლებული.

ამ საკითხზე მეტი რომ გავიგოთ, საჭიროა 2008 წლის მედვედევი-სარკოზი-საკაშვილის შეთანხმების გასაჯაროება. ამ დოკუმენტით გავიგებთ, რატომ ხდება სადემარკაციო ხაზის გადმოწევა ან სადამდე გაგრძელება ეს პროცესი.

სუცივილი ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას მხოლოდ დოკუმენტის გასაჯაროების შემდეგ აპირებს.

სადემარკაციო ხაზის გადმოწევისთან დაკავშირებით საზოგადოებაში სერიოზული ვნებათაღვლევაა. ხელისუფლებასა და მის მომხრეებს ნაზი საპროტესტო განწყობა აქვთ. რადიკალურად განწყობილებს ისინი პოპულიზმს სადებენ ბრალად.

ოფიციალური ცხინვალის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ხელისუფლება ინფორმირებული იყო, რომ სადემარკაციო ხაზის გადმოწევა იგეგმებოდა.

ქართველები ცდილობენ, ახალი სკანდალი გაბერონ და იძახიან, თითქოსდა სასაზღვრო ბანერი 4 ივლისს დავამონტაჟეთ. არადა, ბანერი 19 ივნისს იქნა დაყენებული და ამის შესახებ ევროკავშირის სამშვიდობო მისია წინასწარ იყო გაფრთხილებული, – ნათქვამია ანატოლი ბიბილოვის ადმინისტრაციის განცხადებაში.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, მათ ჯერ კიდევ თებერვალში შესთავაზეს ქართულ მხარეს, ერთობლივად მოეხდინათ საზღვრის დემარკაცია, რათა ადგილობრივ მოსახლეობას სცოდნოდა, რომელი მინების გამოყენება შეეძლო.

– ქართველებმა ჩვენი წინადადების იგნორირება მოახდინეს, – აღნიშნულია განცხადებაში.

რაზე შეუთანხმდა თბილისი ერევანს



როდის განიხილეს ხუჯაბთან დაკავშირებული საკითხი. უნდა გვითხრან, სად გაიმართა შეხვედრა და რა შედეგებით იყო საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილი. აგვისტოს იმ დღის საფუძველზე მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, – აღნიშნავს ექსპერტი სასაზღვრო საკითხებში.

მისი განცხადებით, საქართველოს იქით უნდა ჰქონდეს სხვებთან ტერიტორიული პრეტენზიები.

– საქართველო, მართალია, შეეგუა იმას, რომ 1991 წლის მდგომარეობით გვაქვს საზღვრები დადგენილი, თუმცა ვიცით, რომ 1921 წლიდან პარტიზურის მიერ ინდულგენციები აქვთ ზაქათალისა და იქით ლორეთა-შირის მიმართულებით გაიცემოდა. იქაც კი სამართლებრივი ლაფსუსებია, რაზეც შეგვეძლო გვედავა. ამის სანაცვლოდ ტერიტორიების დათმობას ვაგრძელებთ, – აცხადებს ხუციშვილი.

ის კანონმდებლებს მოუწოდებს, სადემილიტაციო კომისიისგან ანგარიშს წარდგენა მოითხოვონ. ხუციშვილის თქმით, კომისიას დუმილი ძალიან გაუგრძელდა.

– კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს

შორენა მარსაგიშვილი

ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსი მდინარე ფოლადაურის ხეობაში, ზღვის დონიდან 1.019 მეტრზე, ამჟამად ასქერფის სახელით ცნობილი უძველესი ქართული სოფლის მახლობლად მდებარეობს, რომელიც მარნეულის რაიონში შედის, ძველად კი შედიოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელსაც ბოლნისის ხევი ეწოდებოდა.

სომხეთთან და აზერბაიჯანთან სახელმწიფო საზღვრის დადგენას რომ დიდი სკანდალი მოჰყვებოდა, ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ საუბარში ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ განაცხადა სომხეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა გიგლა ბარამიძემ.

ამ მიმართულებით სკანდალებს ელოდება ექსპერტი სასაზღვრო საკითხებში გელა ხუციშვილიც. სახელმწიფო საზღვრების დადგენაზე ის წლების განმავლობაში მუშაობდა, სასაზღვრო ჯარების სარდლის მოადგილე იყო და ამ სფეროში ძალიან კარგად არის ჩახედული.

„ახალ თაობასთან“ საუბარში ხუციშვილი აცხადებს, რომ სომხეთთან ამ საკითხის განხილვა სწორედ ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსის გამო შეწყდა. მისი თქმით, ოფიციალურმა ერევანმა ამ ტერიტორიაზე პრეტენზია 1992 წელს წამოაყენა.

– 1993 წლიდან სწორედ ამ პრეტენზიების გამო შეჩერდა სომხეთთან სადემილიტაციო-სადემარკაციო კომისიების მუშაობა. ხუჯაბის სამონასტრო კომპლექსის გარდა, მათ სხვა ტერიტორიებზეც ჰქონდათ პრეტენზია, თავიანთი ქვეყანა უფრო სხვა განზომილებაში ესახებოდათ, – ამბობს ხუციშვილი.

მისი თქმით, 2000 წლამდე ამ საკითხზე არანაირი სამუშაო არ ჩატარებულა. 2000 წლის შემდეგ მოლაპარაკებები განახლდა.

გელა ხუციშვილის აზრით, სადემილიტაციო კომისიამ სომხეთთან მიღწეული შეთანხმება უნდა გასაჯაროოს.

– აუცილებლად უნდა გვითხრან,

ზურაბ ალავერდი: „გაქოტრაბის პირას მყოფი ქართული სამხედრო სექტორი წინ უნდა ნაშოვნოთ“

– გვსურს, მეტი ადამიანი იყოს დასაქმებული კერძო სექტორში, ვიდრე სახელმწიფო სამსახურში, – განაცხადა გადაცემა „ანალიტიკაში“ ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავერდიმ. მინისტრი ამბობს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები უმეტესად წლის მეორე ნახევარში იწყება და მათში მონაწილეობის კუთხით ქართული კომპანიების კონკურენტულები არიან. ამასთან, ალავერდის თქმით, ტენდერებში მონაწილეობის კუთხით, კომპანიები დღეს ბევრად გააქტიურებული არიან, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ იყო.

– ჩვენ რასაც ვაშენებთ და ვხარჯავთ, ყველაფერს რეგიონებში ვაკეთებთ. თბილისში

მხოლოდ 2 პროექტი გვაქვს. დემოგრაფია ყველა რეგიონში შემცირებულია 2000 წლებთან შედარებით და შრომის ნაწილი გზების, წყლის და სოფლის მეურნეობაში უნდა გადავიტანოთ.

თუ ჩვენ განვითარება გვსურს, მეტი კერძო ბიზნესი გვჭირდება და ნაკლები ადმინისტრაცია. ეკონომიკური თეორიით, ან დემოგრაფია უნდა იზრდებოდეს ძალიან, ან ინფრასტრუქტურაში უნდა ვდებდეთ ინვესტიციებს. ოთხპუნქტიანი გეგმიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურას განათლება მოყვება, რომელიც მნიშვნელოვანია. ამჟამად საშუალო მხარჯველი ტურისტები შემოდინან ქვეყანაში და დონე როდესაც აინევის, მოთხოვნა და გამოთქმა გაიზარდება. ტურისტების მიღების კუთხით ლიმიტირებული ვართ, რადგან 2 მილიარდ ტურისტს ვერ მივიღებთ.

პროექტები ძირითადად წლის მეორე ნახევარში იწყება, რადგან საერთაშორისო შესყიდვებით არის და ბოლომდე გამჭვირვალე პროცესია. კონკურენცია მაღალია. ჩვენ გარშემო რეგიონი დგას, სადაც უამრავი სამშენებლო კომპანიაა. რომელიც პერიოდში თუ 5-6 კომპანია მონაწილეობდა, ახლა საბუთებს 40-50 კომპანია ყიდულობს. ადგილობრივებიც საკმაოდ კონკურენტული არიან. ჩვენი პირველი ამოცანაა, რომ დღეს ქართული სამშენებლო სექტორი, რომელიც გაკოტრების პირას არის, წამოვნიოთ, – განაცხადა მინისტრმა.

ბის მიღების კუთხით ლიმიტირებული ვართ, რადგან 2 მილიარდ ტურისტს ვერ მივიღებთ. პროექტები ძირითადად წლის მეორე ნახევარში იწყება, რადგან საერთაშორისო შესყიდვებით არის და ბოლომდე გამჭვირვალე პროცესია. კონკურენცია მაღალია. ჩვენ გარშემო რეგიონი დგას, სადაც უამრავი სამშენებლო კომპანიაა. რომელიც პერიოდში თუ 5-6 კომპანია მონაწილეობდა, ახლა საბუთებს 40-50 კომპანია ყიდულობს. ადგილობრივებიც საკმაოდ კონკურენტული არიან. ჩვენი პირველი ამოცანაა, რომ დღეს ქართული სამშენებლო სექტორი, რომელიც გაკოტრების პირას არის, წამოვნიოთ, – განაცხადა მინისტრმა.



ახალი თაობა

განთი
გამოცემის
1993 წლის
23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი
 მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი
 რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
 რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
 ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
 საინჟინერო სამსახური – კლარა ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
 გაფრთხილების სამსახური – მერაბ ლეგვრამიძე
 დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დამფუძნებელი – ინგა დვალისძე, ნონა კანდელაკი, მზია ქიქოძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
 რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსდება მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სააკაშვილს უკრაინიდან ექსტრადისიით ეპუქრებიან

უკრაინულ გამოცემა ვესტის მიერ გამოქვეყნებულ სტატიამ გაანალიზებულია უკრაინაში ვადამდელი არჩევნების ალბათობა, რომელიც გაზაფხულზე საკმაოდ მაღალი ჩანდა, დღეს კი იმდენად აქტუალური აღარ არის. განსაკუთრებით ყურადღება აქვს დათმობილი მიხეილ სააკაშვილის პარტიის – „ახალი ძალების მოძრაობის“ („რუს ნოვის სილ“) მდგომარეობასა და მის სამომავლო ბედს.

ანასტასია რიაბოკონის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ:

როგორც ცნობილია, იგეგმებოდა პარტნიორობა ლევოს მერ ანდრეი სადოგოვის პარტია „სამოპრომისა“ და მიხეილ სააკაშვილის „ახალი ძალების მოძრაობას“ შორის, მაგრამ ახლა ანდრეი სადოგოვის საქმეები ცუდად წაუვიდა, თან მასზე ნეგატიურად მოქმედებს ის ფაქტი, რომ გავრცელდა ხმები რუსული ფულით სარგებლობის შესახებ (ლევოში ერთადერთი რუსული ბანკი არსებობს – „მოსკოვის ვითობი ბანკი“). შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დროს განვითარებული სკანდალების კვალობაზე ლევოს მერმა სპონსორები დაკარგა.

რაც შეეხება თვითონ მიხეილ სააკაშვილს, ოდესის ოლქის ექსტრადისიონს, მისი პოზიციებიც არასახარბიელოა. ამას წინათ იგი ტელეარხ „ზიკის“ ტოკშოუს წამყვანი გახდა, თან მოკავშირეებს ექვსს. მაგრამ მისი მცდელობის მიუხედავად, საჯარო პოლიტიკის ველზე დარჩეს, ის სულ უფრო ნაკლებად ჩანს ახალი ამბების ნაკადში. ბოლო სამი წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა დიდი ტრანსფორმაცია განიცადა – იმედების მომცემი პოლიტიკოსიდან აუტსაიდურამდე, რომელსაც საქართველოში ექსტრადისიით ემუქრებიან. თავდაპირველად მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი 10%-ს აღწევდა. როგორც პოლიტიკოლოგები ამბობენ, მაღალი ცნობადობა მის სპონსორებს მილიონები დაუჯდათ, მაგრამ რეიტინგის გამოყენება საქართველოს ექსტრადისიის ვერ მოახერხა.

ახლა მისი რეიტინგი სადაღაც 1,5%-ის ფარგლებში მერყეობს და მიხეილ სააკაშვილი უკვე ინვესტიციების მიზიდვისათვის საეჭვო ფიგურად იქცა.



სამშობლოში მისი პარტია საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა, გასაგები გახდა, რომ იქ მისი შანსები ძალიან დაბალი იყო. ამასობაში მიხოს შეხლა-შემოხლა მოუვიდა პრეზიდენტთან... – ამბობს პოლიტოლოგი ანდრეი ზოლოტარევი.

პოლიტოლოგი მიხეილ დავიდიუცი:

– დღეს მიხეილ სააკაშვილს ოპონენტებთან ბრძოლაში შედარებით მცირე რესურსები აქვს: მას არ ჰყავს ძალოვანი ფრთა, არ ჰყავს სპონსორები, არ აქვს რეიტინგი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, იგი მაინც „დაყოვნებული მოქმედების ბომბად“ მაინც რჩება პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსათვის: მიხომ ბევრი რამ იცის უკრაინის შიდა პოლიტიკის შესახებ, შეუძლია უცხოელი სპონსორების მიზიდვა და გავლენის მოხდენა კორუფციასთან ბრძოლის ეროვნულ ბიუროზე (დირექტორის პირველი მოადგილის გიზო უგლავას მემუვობით). ეს ყველაფერი პეტრო პოროშენკოს თავს შეაკავებინებს მკვეთრი მოძრაობისაგან.

– მიხეილ სააკაშვილის სიტუაცია ხელიდან გაშვებული შანსის ნათელი მაგალითია. როცა მას ყველაზე კარგი მდგომარეობა ჰქონდა დიდი პოლიტიკაში შესასვლელად, ექსპრეზიდენტი რეგიონული გუბერნატორი გახდა, შემდეგ კი იგი დიდხანს აჭიანურებდა პირად არჩევანს – დარჩენილიყო უკრაინაში თუ საქართველოში წასულიყო. მაგრამ რადგანაც

შსს-ს თანამშრომლებმა 5 დაკარგული ტურისტის შავილი სოფიდან გამოიყვანეს



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მანქანებმა 5 უცხოელი ტურისტის გადაარჩინეს.

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, შავილის ხეობაში, ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარემ ტურისტებს გზის გაგრძელების საშუალება აღარ მისცა და ისინი დახმარებას საჭიროებდნენ. უცხოელთა 17-კაციანი ჯგუფიდან 5 ტურისტის პოვნა ვერ ხერხდებოდა.

შეტყობინების მიღებისთანავე, შემთხვევის ადგილისკენ დუშეთის სახანძრო-სამაშველო ჯგუფი გაემართა. რთული რელიეფური და კლიმატური პირობების გამო, ტრანსპორტით გადაადგილება ვერ მოხერხდა და მაშველებმა დაკარგული ტურისტების ძებნა ქვეითად განაგრძეს. ამინდის გაუმჯობესებისთანავე, სამაშველო ღონისძიებაში შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი ჩაერთო.

მაშველებმა ტურისტებთან კომუნიკაციის დამყარება და მათი ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა შეძლეს.

ერთობლივად ჩატარებული წარმატებული სამაშველო ოპერაციის შედეგად, შსს-ს თანამშრომლებმა ხუთივე უცხოელი ტურისტი უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს. ამჟამად ისინი, 17-კაციანი ჯგუფის დანარჩენ წევრებთან ერთად, თბილისში იმყოფებიან და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დუშეთის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მაშველებმა შავილის მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ 4 უცხოელი ტურისტი იპოვეს, რომლებსაც გზა აენათ და უკან დაბრუნებას ვეღარ ახერხებდნენ. ამჟამად ისინიც უსაფრთხო ადგილზე იმყოფებიან.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენებმა შავილის მიმართულებით რამდენიმე რეისი განახორციელეს და ადგილზე დარჩენილი 80-მდე ტურისტი ბარისახოში გამოიყვანეს.

ახალგაზრდა მამაკაცი მე-8 საავადმყოფოს სახურავიდან გადაგდებულა

9 ივლისს, დღის 6 საათზე, ყოფილი მე-8 საავადმყოფოს შენობის სახურავიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადაგდებულა.



ადგილობრივი მცხოვრები.

როგორც „ნიუპოსტს“ თვითმხილველმა განუცხადა, საავადმყოფოს წინ მდებარე კორპუსის მცხოვრებლებმა დაგდებული მამაკაცი შენიშნეს. – ძლიერი დაცემის ხმამ გაგვადვიდა, რომ გამოვედით, ბჭი ძირს ეგდო, – აცხადებს

სუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ბათუმში 12 წლის მოზარდს ავტომობილი დაეჯახა



ბათუმში, თამარის დასახლებაში, 12 წლის მოზარდს მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის მოადგილე ბადრი პაქსაძემ განუცხადა, არასრულწლოვანს თავის არეში ტრავმა აღენიშნება. იგი ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოშია გადაყვანილი.

არსებული ინფორმაციით, მოზარდი ცენტრალურ საავტომობილო გზაზე გადადიოდა, როდესაც მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ბათუმი-ქობულეთის დამაკავშირებელ გზაზე მოძრაობა რამდენიმე წუთით შეზღუდული იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

„გადაეასვენეთ“ – დიდუბის პანთეონში ჯაბა იოსელიანის საფლავი შეურაცხვეს

დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჯაბა იოსელიანის საფლავი შეურაცხვეს. უცნობმა პირმა საფლავით საფლავის ქვაზე დატოვა წარწერა: „გადაეასვენეთ“.



მომხდარის შესახებ პანთეონის ადმინისტრაციისთვის „იმედისგან“ გახდა ცნობილი. დასუფთავების სამსახურმა საფლავი უკვე განმინდა და პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნა.

დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირექტორი ბადრი ქუთათელაძე მომხდარს დღევანდელ თარიღს უკავშირებს. 10 ივლისს ჯაბა იოსელიანის დაბადების დღეა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ჯაბა იოსელიანის საფლავი შეურაცხვეს.

ჯაბა იოსელიანი დაიბადა 1926 წლის 10 ივლისს, ხაშურში. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების პირველი ნახევრის პერიოდს უკავშირდება. ის იყო საქართველოს სამხედრო საბჭოს წევრი 1992 წლის 6 იანვრიდან იმავე წლის 10 მარტამდე, სამხედრო მეთაური და შეიარაღებული ფორმირება მხედრობის დამაარსებელი (1989 წელს) და ლიდერი.

ჯაბა იოსელიანი გარდაიცვალა 2003 წლის 4 მარტს თბილისში.

მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი დღეს საბანგეო პრესკონფერენციას გამართავს

მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი სოსო ბარათაშვილი დღეს საბანგეო პრესკონფერენციას გამართავს.



მედიისთვის დაგეგმილ შეხვედრაზე მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი საზოგადოებასა და ჟურნალისტებს ჩაბუქის თემასთან დაკავშირებულ სიახლეებს გააცნობს.

სოსო ბარათაშვილი ასევე გააკეთებს განცხადებას 7 ივლისს ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, რის საფუძველზეც თურქ პედაგოგს და მის ოჯახს ლტოლვილის სტატუსზე უარი ეთქვა.

მისს, თბილისში თურქეთის მხარის მოთხოვნით დააკავს. მას ბრალად ედება წილების გასხვების მცდელობა ერთ-ერთ ამერიკულ ფირმაზე, რომელიც თურქული მხარის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად არის მიჩნეული.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მუსტაფა ემრე ჩაბუქს 25 მაისს სამთვლიანი წინასაექსტრადისიო პატიმრობა შეუფარდა.

თურქი პედაგოგი საქართველოში 15 წელია ცხოვრობს. იგი 2002 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. არის მრავალი საგანმანათლებლო პროექტისა და იდეის ავტორი საქართველოში. ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი.

ჩაბუქსა და მის ოჯახს 7 ივლისს საქართველოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს მხრიდან ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა.

გორის ციხესთან მოტოციკლი რუსთაველის გამზარაზე აპარდა

ავარია მოხდა გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე.



„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის თქმით, მოტოციკლის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ბორდიურს შეეჯახა და რუსთაველის მემორიალზე ავარდა.

დაშავებულს მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება. მძღოლი გორის მკვიდრია. ის სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შემთხვევის ადგილზე მოხილვებულის იყო საპატრულო პოლიციის ჯგუფები. როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს ძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhaliatoba

10 ივლისისთვის

ქართული ლარის მიხედვით უცხოური ვალუტების განვლილი კურსი




აშშ დოლარი — 2.3966



ევრო — 2.7352



ინგლისური სტერლინგი — 3.0897



100 რუსული რუბლი — 3.9663



29 ივნისიდან



ონორე დე ბალზაკი ოცდაათი წლის ქალი

უასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ზაზა ფაჩულია გოლდან სტიმული ღირს

ზაზა ფაჩულიამ, რომელიც სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდა, გოლდენ სტიმულით ახალი, ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

ზაზას ახალ ტრანსფერზე საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა იყო და მოვლენების საინტერესოდ განვითარებას ველოდით. გადამწყვეტი როლი ითამაშა კლუბში ანდრე იგუდალას დარჩენამ, რის გამოც კევინ დურანტმა მაქსიმალურ ხელფასზე უარი თქვა და რამდენიმე მილიონი მოიკლო.



ამის შემდეგ კლუბსა და ფაჩულიას შორის ხელშეკრულების 3 ვარიანტი განიხილებოდა — ოდნავ გაუმჯობესებული, იგივე და ოდნავ გაუარესებული ვეტერანის მაქსიმუმში. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ კონტრაქტი ფინანსურად ოდნავ გაუმჯობესებულია და უწინდელი 2,9 მილიონის ნაცვლად ქართველი ცენტრი სეზონში 3,5 მილიონს მიიღებს. ასე რომ, ისტორიაში პირველ ქართველს, რომელმაც ნბა-ს ჩემპიონობა მოიგო, შანსი აქვს, ეს შედეგი მომავალ სეზონში გაიმეოროს, რადგან გოლდენსტიმულიებმა საჩემპიონო შემადგენლობა შეინარჩუნეს.

33 წლის ფაჩულიას მონაგარი გასულ საჩემპიონო სეზონში ასეთია — 18,1 წუთი; 6,1 ქულა, 5,9 მოხსნა და 1,9 პასი.

შოპაზადა მისიელ ფორუდლიანმა

იუმორი

კაცი მაცივრის კარს ხერხებს. მეზობელი ეკითხება:
— რას აკეთებ?
— რას და გავხერხებ და სათვალავს დავაყენებ.
— ეგ რაში გჭირდება?
— კარის გაუღებლად გავიგებ, რამდენი პროდუქტი დამრჩა და, ბოლოს და ბოლოს, დავადგენ, მაცივარში ანთია თუ არა შუტი, როდესაც კარი დახურულია.

შვილიშვილი პაპას ეკითხება:
— პაპა, ამ საღამოს სახლში იქნები თუ სადმე მიდინარ?
— რატომ გინტერესებს?
— ამ საღამოს გოგონა უნდა მესტუმროს და...
— ერთი ჰკითხე, სიმპათიური 70 წლის დაქალი ხომ არ ჰყავს?

სოფლის გზაზე დიდი ტალახის გუბეში მსუბუქი მანქანა გაიჭყდა. იქვე ახლოს მცხოვრები გლეხი დაეხმარა და მისი მანქანა ტრაქტორით ამოათრია. მაღლობის ნიშნად მანქანის მძღოლმა 20-ლარიანი გაუნოდა.
— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს მომსახურება 100 ლარი ღირს, — ეუბნება გლეხი.
— ეს უკვე მეტისმეტია! ჩემი მანქანა ხომ სულ რაღაც ორ წუთში ამოათრიათ.
— მართალია, მაგრამ, თქვენ იცით, რა მიჯდება აქ ამ ტალახის გუბის შენარჩუნება?!

რუსი მამაკაცი სამშობიაროს ნინ დგას და ფანჯარაში მეუღლეს ეძახის:
— მამა, როგორ არის საქმე?
— გერმანელები!.. ოთხით — ნოლი!.. კინაღამ ვიმშობიარე!

სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მოპირდაპირე სახლში ცოლი ქმარს ეუბნება:
— ძვირფასო, მოდი, ფარდები ვიყიდო!
— რატომ?
— ჩვენი ფანჯრის მოპირდაპირედ სტუდენტები ცხოვრობენ და რომ დამინახონ??
— შენ მაგაზე არ ინერვიულო!

— რატომ?
— თუ დაგინახავენ, თვითონ იყიდონ ფარდებს და ფანჯარაზე ჩამოაფარებენ.

შოპაზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.


სერია „ალამიანები, რომელთაც შეხვალს მსოფლიო — 100 ნიჭი“ ბრძოლა

11 ივლისიდან
ტოპი 50
პინოჩეტი




უასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

18 ივლისიდან
ტოპი 51
იულიუს კეისარი




უასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

25 ივლისიდან
ტოპი 52
ლინკოლნი



უასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



13 ივლისიდან

ლაშა იმედაშვილი ქართული
სამი მკვლელი კველ თხილისში ლაშა იმედაშვილი
ტოპი 13


უასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ამერიკული პიცერიები ბიკინის პიცისგან აცხოვენ

პიცერიების ამერიკულმა ქსელმა Villa Italian Kitchen-მა გასაყიდად გამოიტანა „პიცა-კინი“ — ბიკინი, რომელიც პიცისგან არის დამზადებული.

კომპანიამ საჭმელი საცურაო კოსტიუმი ნიუიორკელ დიზაინერ ჯესი ბირდენთან თანამშრომლობის შედეგად შექმნა. მას ინდივიდუალური თარგით ცომის, მოცარულას, ტომატის სოუსისა და პეპერონისგან ამზადებენ. მყიდველს შიგთავსი საკუთარი გემოვნებით შეუძლია შეუკვეთოს.


პიცის ბიკინის ფასი 10 ათას დოლარს შეადგენს. შეკვეთის მისაცემად კლიენტი პიცერიების ქსელს ფეისბუქის დახმარებით უნდა დაუკავშირდეს. პიცა-ბიკინის ღირებულებაში შედის კონსულტაცია, ზომების აღება, დამზადება და უჩვეულო საცურაო კოსტიუმის ტანზე მორგება.



ემილი რატაკოვსკი საკუთარმა მკერდმა შეანუნა

ერთ-ერთი ავსტრალიური ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა მოდელმა და მსახიობმა ემილი რატაკოვსკიმ დაიჩივლა, რომ ზოგიერთის მისი დიდი მკერდი აშინებს.

— ზოგჯერ ასეთი რამეც მესმის: „ოჰ, ის მეტისმეტად სექსუალურია“, — ამბობს რატაკოვსკი, — ეს რაღაც ანტიქალურია, როდესაც ჩემთან მუშაობა იმის გამო არ სურთ, რომ მეტისმეტად დიდი მკერდი მაქვს. რა არ არის კარგი? ეს ქალის შესანიშნავი ორგანოა, რომელიც უნდა გახარებდეს. კი მაგრამ, რა განსხვავებაა? შესანიშნავია, როდესაც დიდი მკერდია, შესანიშნავია, როდესაც, პატარაა. ეს პრობლემას რატომ უნდა წარმოადგენდეს?



ჯიხვოხიგი

თარაზულად: 1. ერთ-ერთი კოორდინატი (მათემ.); 3. ფორმის ტანსაცმელი; 11. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 12. დასამიზნებელი მონყობილობა გეოდეზიურ ხელსაწყოებში; 14. ... ფრანსი; 15. სახლის სახურავი მასალა; 16. ძალის ნაშეიერი; 19. დახურული ეტლი; 20. ქალის ძვირფასი თავსამკაული; 21. პიანისტი ... დიოჯაშვილი.

შეუღლად: 1. ბერძენთა ჯარის მთავარსარდალი („ილიადა“); 2. ჩრდ. ამერიკის უდაბნოების მშრალი, ცხელი ქარი; 3. „კვირის ...“; 4. მდინარის თევზი; 5. მარქსის ნაშრომი; 6. მცენარის ნაწილი; 7. დიდი საოკეანო გემი; 9. აგატა ...; 13. ჩაზელილი კარტოფილი; 17. უგონო მდგომარეობა; 18. სატურნის თანამგზავრი.

შეადგინა ოლივერ კობიამ